3. Sin. 89-ში მოთავსებული იოვანე ოქროპირის ეპისწირვა ლათინური თარგმანითურთ გამოცემულია (იხ. A. Jacob, Une version Géorgienne inédite de la Liturgie de saint Jean Chrysostome, Le Muséon, 77(1—2), 64, p. 85).

ანდერძი: იოვანე ოქროპირის ეპისწირვის დასრულების შემდეგ ვადაწყურის ანდერძია: „დიდებამა შენდა, ქრისტე, დაესრულა წმიდა ეპისწირვაა წმიდისა იოვანე ოქროპირისაა კელითა ფრიად ცოდვილისა იო(!) სტეფანე დვალისაათა. ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, და უკბოდ ჩხრეკისა და დაკლებსათჳს შენდობა ყავთ. ღმერთმან დაგაჭროს. ქრისტე, შეაწყალე სტეფანე, კვრიკე, მოსე, სუმიონ, გაბრიელ. დავსუსხე გესმანიას, საფლავსა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღმრთისმშობელისა“ (69v).

მინაწერები (ტექსტის ხელი): 1. „მოივსენენ, უფალო, წყალობითა შენითა სული საწყალობელი სტეფანესი და სული მშობელთა მისთა: კვრიკასა და ანანასი და სული მიქელასი, სული ისაკისი, გუარამასა, სული გიორგამასა, სული იოვანესი“ (62r).

2. (ტექსტის ხელი): „მოივსენენ, უფალო, წყალობით სტეფანე, კვრიკა, მიქაელა, სუმიონ, იოვანე თეთრა, გორგელი ისაკ, სგრამა. მოივსენენ, უფალო, წყალობით ელისაბედი მაგდანელი, მართა, მარიამ“ (63r).

III. „ეპისწირვა მარხვათა განახლებამ, თქუებული წმიდისა ბასილი-სი. — რაჟამს უფალო დაღატყვი აღასრულონ, შეიმოსენ მღდელნი და დაავონ სიწმიდე პირველშეწირული ფეშხუმსა ზედა და დაასხას ბარძიმსა შინა ზედაშე და მოსტეხოს სიწმიდესა ნაწილი ერთი...“ 71r—86v.

მინაწერი: (ტექსტის ხელი): „ამენ იყვენ, წმიდა ბასილი“ (86v).

IV. „წესი სიწმიდისა განახლებისა წმიდისა მოციქულისა იაკობისი. შემდგომად ლოცვასა მწუხრისასა, რაჟამს „უფალო დაღატყვი“ დაასრულონ და დათქუან(!) „ნათელი მხიარული“, „შეიმოსენ მღდელნი და დიაკონნი და აღიღონ ოხითა, რომელიცა მას მწუხრსა ითქუმოდის და დაასხან საკუმელი და აღვიდენ საკურთხეველად...“ 88r—93v.

შენიშვნები: 1. 91 v-სა და 92r-ს შორის აკლია ერთი ფურცელი.

2. მიკვება მ. თარხნიშვილის მიერ გამოცემულ ტექსტს. (იხ. Liturgiae Ibericae antiquiores, Corpus scriptorum christianorum orientialium, vol. 122, p. 93).

3. იაკობის ეპისწირვის რუსული თარგმანი იხ. К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах, 1908, с. 1

4. იაკობის ეპისწირვის ქართული ტექსტი გრაცის ხელნაწერს (985 წ.) მიხედვით გამოცემულია (იხ. M. Tarchnišvili, Liturgiae Ibericae antiquiores, Corpus Scriptorum Christianorum, Orientalium, v. 122, p. 1).

5. Sin. 89 აღწერილია (იხ. Н. Я. Мapp. Описание, с. 250).

თხზულებას. I და II თხზულება გადაწერილია ერთი ხელით; V, VI, VII თხზულებები გადაწერილია მეორე ხელით; VIII და IX თხზულება გადაწერილია მესამე ხელით; დაუწერელი გვერდებია: 27v, 28r, 58v, 59r-v, 72v, 73r-v; 5r უადგილოდაა ჩაენიშული. მეოთხე გადაწერია ბართლომე (67v, 73r); XIV.

I. კალენდარი. „... ე ზაქარია. ვ მიხაელ. ზეცის; ზ სოზონ, რომელი; მ შობაჲ ქალწულისაჲ, უქმი სსნილი, ღამისთევაჲ... ცისკრად „აუარებდით“, „ალსავალნი“ და სახარებაჲ...“ 1r—24v.

შენიშვნები: 1. შეიცავს კალენდარული თანმიმდევრობით დალაგებულ ხსენებებს მხოლოდ ძლისპირზე მითითებით. საუფლო დღესასწაულებს კი ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნებიც ახლავს.

2. მიჰყვება გიორგი მთაწმიდელის სენაქსარის კალენდარს (შდრ. Sin. 4, აღწერილობა, II, გვ. 131).

3. კალენდარში ქართველ წმიდათაგან მხოლოდ წმიდა ნინოა შეტანილი (იხ. 10r).

4. ნაწერია არაკალიგრაფიული ნუსხურით.

5. აკლია: დასაწყისში ალბათ ერთი ფურცელი, 14 ოქტომბრიდან 25 ნოემბრის და 26 იანვრიდან 17 თებერვლის მასალის შემცველი ფურცლები.

6. 5 ფ. უადგილოდაა ჩაენიშული. ნაწერია მსხვილი ნუსხურით. შეიცავს 8 სტროქონს. ზემო აშიაზე რვეულებრივი სათვალავის აღმნიშვნელი „ა“ უზის, რომლის მიხედვით ეს გვერდი ხელნაწერის არმოღწეული ნაწილის ფრაგმენტი უნდა იყოს.

II. „კმატნი თუეთანი. — სეკდენბერსა გ და კდ; ოკდონბერსა გ და კა...“ 24v.

შენიშვნები: 1. ამ თხზულებისაგან, რომელიც, ალბათ, მთელი წლის მონაცემებს შეიცავდა, შემორჩენილია მხოლოდ ორ თვეზე მითითება.

2. ნაწერია I თხზულების ხელით.

3. 72r-ზე წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც შეიცავს მთელი წლის კვირბიტ დღეების კალენდარს. შესაძლებელია, ცხრილი ერთვოდა ამ ნაწილს.

4. აკლია 24v-სა და 25r-ს შორის, ალბათ, ორიოდე ფურცელი.

III. „ავგაროზი“. „... შავანე აჰვეგეთას საროჲ ზარანაია ფეთაია შხანია ალაკიელ ლაჩაია მანსაირა შავი შავი რაკელ არაგისნი არმასტანა არამათი აგია ფორა დროდა ნასია არგოს დონია, სადა ესე წარიკითხონ, გუელი ივლტოდეს...“ 25r—26v.

შენიშვნა: ნაწერია მსხვილი არაკალიგრაფიული, I ხელისაგან განსხვავებული ხელით.

IV. „პასქალიის ცხრილი“ ... დ ფბ იზ აბ დ; ე ფბ მ მტ კდ; ვ ფბ კმ აბ იგ...“ 26v—27r.

შენიშვნები: 1. თავბოლონაკლულია. შეიცავს მხოლოდ თებერვალ-აპრილის თვეების მასალას.

2. 27v, 28r დაუწერელია.

V. [კალენდარული წინასწარმეტყველება]. — „უკუეთუ დადკეს იანვარი დღესა კვრიაკესა, ზამთარი იყოს ნოტიოჲ, ზაფხული — კმელი, სსთუჭლი — მოკლე; თაფლი — დიად, ნაყოფი კეთილ...“ 28v—32r.

VI. „წილნი წმიდათა მოციქულთანი — იხილე, კაცო, რამეთუ მზე მოგეფინების და სათხოელი შენი ღმერთსა აქუს. ვითარცა კაცი რაჲ მივალს ყანასა თუსსა, იპყრის ნაყოფი და შეფშუნის, და მისცის დიდებაჲ ღმერთსა, ეგრეთვე აწ საქმე ეგე გაუწყო: ვედრებაჲ შენი შეისმინა ღმერთმან...“ 32r—50r.

შენიშვნა: ერთვის ა: „თუ ოდეს უნდა წილთა ყრაჲ...“ 46r—49v.

ბ. „წილთა ყრის“ ცხრილი (50r).

VII. „ლოცვაე სახლსა შეგძნებლსა. — უფალო ღმერთო, ცხორებისა ჩუენისა ძეო, ღმრთისა ცხოელისაო, რომელი მკდომარე ხარ სერაბინთა ზე-და...“ 50v—57r.

შენიშვნები: 1. ერთვის გვიანდელი (XVI ს.) ხელით შესრულებული ლოცვის შინაარსის ტექსტი (57v—58r).

2. V, VI, VII თხზულებები ნაწერია ერთი ხელით.

3. დაუწერელია: 58v, 59r-v.

VIII. „სახელითა ღმრთისადათა ქორონიკონი სულ მცირე სამოცისა წლი-საჲ...“ 60r—61r.

შენიშვნა: 58v, 59r-v დაუწერელია.

IX. „ოხითა, იბაკოთა თავები და განგებამ მარხვათა და ზატიკთა. — კორციელისა შაბათსა ქსენებამ ყოველთა სულთა: ოხითამ „რომელი სიღრმითა მით“, „შენ ხარ ზღუდე ჩუენი“; იბაკომ „წმიდათა თანა განუსუენე“. პირველსა შაბათსა წმიდათა მარხვათასა წმიდისა თეოდორესი: ოხითამ „დიდ არიან სარწმუნოებისა“, იბაკომ „სარწმუნოებამ ქრისტისი“. ა კვრიაკესა წმიდათა ხატთა თაყუანისცემამ. ოხითა „პირველად აღდგომისაჲ“. დიდებამ „უხრწნელსა ხატსა...“ 62r—72v.

შენიშვნები: 1. შეიცავს აღდგომის მარხვისა და ზატიკის ყოველი დღის ღვთისმსახურებაში შესასრულებელ მასალაზე მითითებებს ლიტურგიული შენიშვნებითურთ.

2. VIII და IX თხზულებანი ნაწერია განსხვავებული, შედარებით წვრილი ხელით.

X. „იბაკონი მარხვათანი. —!კორციელისა კვრიაკესა: „მკდომარე“. რა-ეამს მსაჯული იგი სიმართლისა დაჯდეს და ბევრეულნი ანგელოზნი წინაშე ღგენ, საყური იგი კმობდეს და ცეცხლი ეტყინებოდეს...“ 74r—83v.

შენიშვნები: 1. შეიცავს კორციელის კვირადღის, ყველიერის შაბათისა და კვირადღის, თეოდორის შაბათის, მარხვის პირველი კვირის, დიდი ორშაბათ-სამშაბათის იბაკოებს, და ოხითებს.

2. ნაწერია განსხვავებული ხელით.

3. 72v, 73r-v დაუწერელია.

4. ხელნაწერი წარმოადგენს სხვადასხვა თხზულებებისაგან შემდგარ (10 თხზულება) კრებულს.

5. ხელნაწერის რვეულებრივი სათვალავის აღრიცხვა შემორჩენილია (ნაწი-ლობრივ) მხოლოდ IX თხზულებაში (74r—83v). მეოთხე ფურცლის (65v) ბო-ლო აშიაზე აღნიშნულია რვეულებრივი სათვალავისათვის „ა“, მეორე ფურც-ლის (66r) ზემო აშიაზე კი აღნიშნულია „ბ“. ხომ არ შეიძლება ვეფარადლოთ, რომ Sin. 90 სხვადასხვა, ერთნაირი ფორმატის ხელნაწერისაგან შედგება, რო-მელთაგან მხოლოდ ერთ ნაწილს ჰქონია რვეულებრივი სათვალავი.

6. ხელნაწერი აღწერილია (იხ. Н. Я. Марр, Описание, с. 251).

შიწერები (ტექსტის ხელით): 1. „ბ ა რ თ ლ ო მ ე ს შეუნდოს ღმერთმან, ამენ. ვინცა თქუას, შეუნდოს ღმერთმან“ (66v).

2. ტექსტის ხელით: „ბერსა ბ ა რ თ ლ ო მ ე ს შეუნდოს ღმერთმან“ (73r).

H 1664

მაქსიმე აღმსარებელი. ქება, დიდება და მოქალაქობა
 ღმრთისმშობლისა. XI

171 ფ.; 25×16; ებრატი; ტყავადაკრული ხის ყდა; რესტავირებული; ნუს-ხური; დასაწყისები და მთავრული ასოები შავით და სინურით; საზედაო ასო-

ები მოხატული სინგურით და ფერებით შესრულებული: 7r, 11v, 13v—14r, 41v, 56v, 57v, 58r, 72v, 102r-v, 105r, 113v, 116r, 119r, 120v, 122r, 129v, 148v, 162v, 163r, 165v, 166r; აქვს რვეულბრივი აღრიცხვა (კა): ა რვეული აკლია, ბ (8 ფ.) 5r—12v, გ (6 ფურცელი), აკლია პირველი ფურცელი, 13r—18v, დ (7 ფ.) 19r—25v, ე (8 ფ.) 26r—33v, ვ (8 ფ.) 34r—41v, ზ (8 ფ.) 42r—49v, მ (8 ფ.) 50r—57v, თ (7 ფ.) 58r—64v, ი (8 ფ.) 65r—72v, ია (7 ფ.) 73r—79v, იბ (4 ფ.) 80r—83v, იგ (8 ფ.) 84r—91v, იდ (8 ფ.) 92r—99v, იე (8 ფ.) 100r—107v, ივ (8 ფ.) 108r—115v, იშ (7 ფ.) 124r—130v, ით (9 ფ.) 131v—139v, კ (8 ფ.) 140r—147v, კა (8 ფ.) 148r—155v, კბ (7 ფ.) 156r—162v, კგ (3 ფ.) 163r—165v. ფფ. 166—171 თავიდანვე ამ ხელნაწერის კუთვნილება არ ყოფილა, ტექსტის ხელიც სხვაა; ხელნაწერს აკლია: 12—13, 59—60, 74—75, 81—82, 130—131, 157—158 ფფ. შორის. გადაწერი: იოვანე ყი ა (57v). გადაწერის ადგილი: საბას მონასტრი (165v). [XI ს.]; ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯ რ უ ჯ ის მონასტრიდან 1919 წელს.

I. [ქება და დიდება, შესხმა და ვალობა ყოლად წმიდისა, უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი და უწყება უბიწოხსა მის და სანატრელისა მოქალაქობისა მისისა შობითვან მიცვალებადმდე, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმეს მიერ, ფილოსოფოსისა და აღმსარებელისა. კნს. — ისმინეთ ესე ყოველმან თესლებმან და ყურად იღეთ ყოველთა დამკვიდრებულთა ქუეყანისათა. მოვედით ყოველნი მორწმუნენი და შემოკერბით ყოველნი ღმრთის-მოყუარენი მეფენი ქუეყანისანი, და ყოველნი ერნი, მთავარნი და ყოველნი მსაჯულნი ქუეყანისანი, ჰაბუენი და ქალწულნი, მოხუცებულნი ყრმათა თანა, ყოველი ენა და ყოველი სული უვალობდეთ], ვაქებდეთ და ვადიდებდეთ ყლდ წმიდასა მას უბიწოსა, უმეტესად კურთხეულსა ღმრთისმშობელსა და მარადის ქალწულსა მარიამს...“ 1r—163v.

შენიშვნები: 1. მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა შორის „ქება და დიდება, შესხმა და ვალობა... ღმრთისმშობელისას“ ბერძნული მოდელი არ დაიძვნა. კ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ თხზულება ფსევდოპიგრაფიული ხასიათისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 97,8).

1986 წელს ცნობილმა ბელგიელმა ქართველოლოგმა მ. ვან ესბროკმა გამოაქვეყნა „ქება“-ს ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით. ქართულ ტექსტს ახლავს ფრანგული თარგმანი და ვრცელი, მეტად საყურადღებო გამოკვლევა (იხ. Maxime le Confesseur, Vie de la Vierge, éditée par M. van Esbroeck. CSCO. vol. 478—479. Louvain. 1986). კ. კეკელიძის შეხედულებისაგან განსხვავებით, მ. ვან ესბროკი „ქების“ ავტორად მიიჩნევს მაქსიმე აღმსარებელს. ცნობები H—1664 ხელნაწერის შესახებ იხ. CSCO vol. 478, გვ. X—XI.

2. სათაური და ნაკლები დასაწყისი აღდგენილია A 40-ის მიხედვით.

3. „ქების“ მთელი ტექსტი დაყოფილია 21 საკითხავად. ტექსტის გასწვრივ კიდევ მითითებულია მთავრულით, სინგურით საკითხავის რიგითი ნომერი. იქვე სხვა, გვიანდელი (XIV—XV სს.) ნუსხურით კიდევ მიწერილია ამთუიმ საკითხავისთვის განკუთვნილი დღე: საკითხავი ბ — „მარტა კე“ (3v); დ — „დეკემბერსა კე“ (20v); ე — „დეკემბერსა კთ“ (42v); ვ — „თებერვალსა ბ“ (44r); [ზ] — „იენისსა კდ“ (56v); მ — „მაისსა იე“ (58v); თ — „იანვარსა ვ“ (70v); ი — „ზატიკსა მესამესა კკესა“ (74r); [ია] — მინაწერი არა აქვს; იგ — „დიდსა მარასკესსა“ (84r); იდ — „დიდსა შაბათსა“ (97r); [იე] — „ამალღებასა“ (105r); ივ — „პაროლსა ლ“ (109r); [იზ] — „ავგისტოსა თოთხმეტსა“ (114v); იშ — „ავგისტოსა იე“ (119r); ით — „ავგისტოსა ივ“ (134v); კ — „იელისსა კ“ (138v); კა — „ავგისტოსა ლა“ (148r).

კადრატულ კავებში ჩასმულია რიცხვები, რომლებიც ტექსტში ან გამორჩენილია, ან მათ მივლინად საკითხავის დასაწყისის აღსანიშნავად დასმულია ჯგური სინგურით.

4. გვერდის კიდეებზე ორი სხვადასხვა ხელით გაკეთებულია მინაწერები, რომლებიც ამა თუ იმ ადგილის შინაარსზე მიუთითებენ (3v, 4r, 12r, 27v და სხვ.).

5. „ქების“ ტექსტს მოსდევს: „განწესება“ საკითხავთა თითოეულთა დღესასწაულთა ამთ რიცხვთა ზანდუკისათა ჰპოო. — დეკემბერსა კე საკითხავი დ. ხოლო მაშინ, ოდეს ხარება იგი იქმნა მთავარანგელოზისა მიერ — ვი დ რ ე და მისცა უკუე პირისა განმარტება, მზა არს და კეშმარტ...“ (163v—165v).

„განწესება“ (H 1664 ხელნაწერის მიხედვით) გამოქვეყნებულია დამატების სახით მ. ვან ესბროკის გამოცემაში (იხ. დასახ. გამოცემა, CSCO № 478, გვ. 177—178).

II. [დროითე დახელის სწავლანი]. „ებისტოლე ძმისა მიმართ, რომელსა ეთხოვნეს პოვნილნი იგი სიტყუანი წმიდისა მამისა ჩუენისა დორეთესნი. დაწყება სიტყუსა, გუაჟურთხენ, უფალო. — ვაქებ გულსმოღვინებასა შენსა და ვპნატრი მოსწრაფებასა შენსა კეთილთა საქმეთა...“ 166r—171v.

შენიშვნები: 1. „სწავლანის“ ეს ფრაგმენტი შეიცავს „ებისტოლეს“ და პირველი „სწავლის“ დასაწყისს.

2. დროითე დახელის „ცხოვრებისა“ და „სწავლათა“ ბერძნული ტექსტები გამოქვეყნებულია (იხ. Migne, P. G. t. 88, p. 1611—1833; Dorothee de Gaza, Oeuvres Spirituelles, Introduction, texte grec, traduction et notes par Dom L. Regnault et Dom J. de Préville. Sources Chrétiennes №92, Paris, 1963). ამ გამოცემაში „ებისტოლეს“ უკავია 110—120 გვერდები.

3. დროითე დახელის „სულიერი სწავლანი“ თარგმნილია ეფთვი მეთაფმიდელის მიერ.

4. დროითე დახელის „სულიერი სწავლანი“ სრული სახით და ცალ-ცალკე თავები მრავალ ქართულ ხელნაწერშია დაცული (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 41).

ანდერძები (გადამწერისა): 1. „ვინცა ვინ ამას წმიდასა სულთა განმანათლებელსა წიგნსა იმსახურებდეთ, ამით ზანდუკითა მოიძიეთ სახითხავი(!). და მე, ოგონოსა და უცებსა, ყოველთა შემინდვეთ სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა, მადლითა და შეწვევითა წმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, წმიდისა ძელისა ცხოვრებისა ძალითა, მეოხებითა დიდებულთა მთავარანგელოზთათა, იოვანე ნათლისმცემელისა, მადლითა იოვანე მახარებელისა, ნიკოლოზისითა, საბაასითა, გიორგისითა, წმიდათა მოციქულთათა და ყოველთა წმიდათათა, რომელნი საუკუნითგან სათნო გვეყუნეს, შენ, უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა.

დაიწერა წმიდა ესე ღმრთისმშობელისა ცხოვრება სულთა განმანათლებელი ჭრაკუმიას მონასტერსა წმიდისა საბაასა...“ (165v).

2. (57v-ს მარცხენა კიდეზე ტექსტის ხელით: „ქრისტე, შეიწყალე იოვანე ყია“.

3. (სინგურით): „წმიდანო, შეიწყალეთ ივნე ყია“ (102v).

4. (სინგურით): „ქრისტე, შეიწყალე იოვანე, ან“ (110v).

5. (სინგურით): „ქრისტე, შეიწყალე ივნე“ (120v).

მინაწერები: 1. (მხედრული XVI ს.): „აცხოვენ, ღმერთო, წაერთვლი ნისიმა“ (19v).

2. მინაწერი სომხურ ენაზე (99r).

H 2124

გიორგი აღექსანდრიელი, იოვანე ოქროპირის ცხოვრება. 988

258 ფ.; 16X13; ეტრათი; მოყვითალო ტეფრული ტყავდაკრული ხის ყდა, მოჩარჩოებული სწორი ხაზებითა და ორნამენტებით. ზედა ყდაზე შუაში ამო-

ტვიფრული და მოჭოროვილია ჭვრის გამოსახულება, ქვედა ყდაზე — ბარძამო. ყუაზე ორ ადგილას დაკრულ შავ ტყავზე ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია ლათინური წარწერა: „სომხური კოდექსი ან ქართული“. ქვევით გოთური შრიფტით წერია: „ა. პორფირიუს“; კალიგრაფიული ნუსხური. სათაურები მთავრულით, სინგურით. საზედაოდ ასოები მთავრულით, თავების დასაწყისში — მხატვრულად გაფორმებული. 1v-ზე იოვანე ოქროპირის გამოსახულებაა მთელი ტანით, შეფარადებული შავი, წითელი და ყავისფერი საღებავებით. ახლავს დაქარაგმებული მთავრული ასოებით შესრულებული წარწერა: „წმიდაო იოვანე, შეიწყალე გიორგი“; აქვს ქართული და ბერძნული რვეულებრივი აღრიცხვა. ბერძნული აღრიცხვა იწყება 3 რვეულიდან. ქართული და ბერძნული ასოები შავი და წითელი წერტილებითაა დეკორირებული. შეიცავს ლა რვეულს; გადამწერი: იოვანე საფარელი (256r-v, 257v); მომგებელი: სინის მთის მკვიდრი მიქაელ ხუცესი ფანასკერტელი (256v); ადგილი: ხაოი-ტონის ლავრა (257v); ხელნაწერი მომგებელის მიერ შეწირულია სინის მთისთვის (257r); 968 წ. (257v).

[გიორგი ალექსანდრიელი], ცხორებამ წმიდისა და ნეტარისა და მოძღვრისა ყოვლისა სოფლისა და ვარსკულავისა მის განთიადისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა[დ], კოსტანტინეპოვლელ მამადმთავრისაჲ. — თავი და დაწყებამ ცხორებისაჲ: ესე იოვანე ბრძენი, საკურველი, რჩეული და პატიოსანი იყო ანტიოქიამთ ქალაქით, რომელ არს ასურეთისაჲ...“

დასასრული: „და აღიდებდა ღმერთსა და აკურთხევდა, რომელსა ჰმუენის დიდებამ და პატივი, ქებამ და თაყუანის-ცემამ... ამენ“ 2r—256r.

შენიშვნები: 1. უძღვის შესავალი. — „ყოველთა მიხრობელთა ძფელი-სა შველსათა თქუეს, რომელი-იგი იყო უწინარეს მათსა, ზოგათმე სმენითა და ზოგათმე ხილვითა...“ (2r—5v).

2. ძველთან დაკავშირებით იხ. CPG, 7979. ქართული ტექსტი გამოცემულია: „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლვევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბ., 1986, გვ. 1—142. ძირითად ნუსხად გამოყენებულია ხელნაწერი H 2124, რომელიც გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით. იხ. აგრეთვე ილ. აბულაძე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 16—31; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 23, 129.

3. ხელნაწერი სინის მთიდან XIX ს. 50-იან წლებში წამოუღია პორფირი უსპენსკის, დაცული იყო პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში (Hovaya seriya 13), იქვე გაუყუთდა ზემოთ აღწერილი ყდა. 1923 წ. ხელნაწერი ჩამოტანილი იქნა თბლისში, ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში H კოლექციაში.

4. ოქროპირის მინიატურაზე დართულ წარწერაში მოხსენიებულ გიორგი შესაძლოა იყოს მინიატურის მხატვარი (იხ. ტექნ. აღწ.).

5. ხელნაწერი აღწერილია: ა. ცაგარელი, კატალოგი, № 72, გვ. 85—86; ხელნაწერთა აღწერილობა (კოლექცია H), V, შედგენილია და დასაბუქლად მომზადებულია ლ. მეფარიშვილის მიერ, თბ., 1949, გვ. 74. იხ. აგრეთვე ლ. მენებდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 41; ზ. ჭუმბურიძე, ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასვალი, თბ., 1975, გვ. 107—110; მისივე, ქართული ხელნაწერების კვლადაკვალ, თბ., 1983, გვ. 180—182.

ანდერძები: 1. (გადამწერისა მთავრულით): „დიდებამ შენდა, ღმერთო ძლიერო და ცხოველო, რომელმან სრულ ჰყავ საქმშ ესე ველითა ჩემ ცოდვილისა და უღქებისა იოვანე საფარელისაჲთა სადიდებელად სახელისა შენისათჳს წმიდისა, ამენ“ (256r).

2. (გადამწერისა ნუსხურით): „მე, გლახაკი და უღებო და ფრიად ცოდვილი მწარალი(ი) ამისი იოვანე საფარელი და სულიერნი ძმანი ჩემნი ზაქარია, კურიკი, კურიკე და კურიკე ლოცვასა წმიდასა მოგვესენნით ვინცა იმსახურებდეთ ამით წიგნთა, რამთა თქუენცა უფალმან შეგიწყალნეს,

ამენ. და რომელი დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათვის, დიდსა სწრაფსა და უძრულებასა(!) შინა დაეწერე სიუჟარულითა ძმისა ჩემისა მიქაელისითა, ძმითა და ნათელი ჩემო, ნუ დამივიწყებ ლოცვასა.

დაიწერა ესე წმიდა წიგნი იოვანე ოქროპირისაჲ ლავრასა შინა ძუელსა მამისა ჩუენისა ხარიტონ მოღუაწისა და მოწამისასა. დასაბამითანნი წელნი იყვენს ხვობ, ქრონიკონი იყო რპშ. ქრისტე, შეიწყალე მწერალი, მკითხველი და მსმენელი“ (257r-v).

3. (მომგებულისა ნუსხურით, ჩაწერილია ვადაშერის ანდრძებს შორის): „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა, ძლიერებითა(!) ცხოველსმყოფელისა ჭუარისათა, მადლითა წმიდისა ადგომისათა, მეოხებითა წმიდათა მთავარანგელოზთათა, წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა, ღირსთა მღვდელთ-მოძღუართა, წმადთა მოწამეთა და ნეტართა მამათათა, და მეოხებითა წმიდისა და წინაწარმეტყუელთა შორის დიდებულისა მოსესითა, და ყოველთა წმიდათა და ნებისმყოფელთა ღმრთისათა მეოხებითა მე, მიქაელ ხუცესმან ფანასკერტელმან, უცებმან ცნობითა და უგუგურმან გონებითა და უნარჩევსმან ყოველთა მონაზონთა, გულს-ვიდგინე მოგებად ამის წიგნისა და დაეწერე სულიერსა ძმისა ჩემსა ივანე საფარელსა სალოცველად[ა] სულისა ჩემისა ცოდვილისა და სულისა მშობელთა და ნათესავთა ჩემთა, ცოცხალთა და გარდაცვალებულთათვის, და შეეწირე წმიდასა მთასა სინასა, საყოფელსა წმიდისა მოსესა, სადაცა მე თვთ მკვდრ ვიყავ. მონათ ღმრთისანო, ვინცა იმსახურებდეთ, ლოცვასა წმიდასა მოგვესენინო, რათა თქუენცა უფალმან შეგიწყალნეს, ამენ“ (256v—247r).

მინაწერები: 1. (გვიანდელი, დაახლოებით XV ს. ულამაზო ნუსხურით): „სულასა კოცოსა ძესა კირილესა და დე[ა]-მამათა მისათა და ძამათა მისათა და დათა მისათა — ყოველთავე შეუნდვენ ღმერთმან. ვინცა შენდობა ბრძანოთ, ქრისტემან შეუნდვენ ღმერთმან“ (258r). აქ „ყოველთავე“ ცუდად იკითხება, მეორე ვ-ს კბილიც აკლია და მინაწერის სწორად ამოკითხვა უკირ.

იგივე პირის მოხსენიებით იმავე ხასიათისა და იმავე ხელით შესრულებული მინაწერები გვხვდება ხელნაწერებში Sin. 73, 173v და Sin. 86, 2r. Sin. 86-ის მინაწერი შინაარსობლივად თითქმის ადეკვატურია ზემოთ მოტანილ მინაწერისა, რომლის ერთი ადგილის („ყოველთავე შეუნდვენ ღმერთმან“) ამოკითხვაში იგი დაგვეხმარა (იხ. ნ. მარი, აღწერილობა, გვ. 248 და ივ. ჯავახიშვილი, აღწერილობა, გვ. 118).

2. (არაბულად): **دائر وفيه قصة يحيى فم الذهب محروم من يخرج** — „დაეთარი, რომელშიც არის იოვანე ოქროპირის ამბავი. წყუღიმიც იყოს, ვინც გაიტანს მას სინის მთიდან“ (258r).

81 (ვაგ.) დამატება

ლიტურგიკულ-ასკეტიკური კრებულო. 979

133 ფ.; ფრაგმენტები, რომლებიც ერთი ხელნაწერიდან მომდინარეობენ; დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ბერძნულ და სირიულ კოლექციებში (Gr. VI, 4—12; VIII, 1; XIII, 1—10; XVIII, 1; XIX, 1—2; XXIII, 1—6; XXIV, 1—3; Сир. H. C. 16/1, 1—3; 31—55; 58, 59; 16/2, 1—70; 16/3, 7); ეტრატი; საშუალო ზომა 19,5×14,5; ფურცლები ხშირ შემთხვევაში კიდებშემოცვეთილია; ფურცელთა უმრავლესობა პალიმფსესტია (ბერძნულ-ქართული ან სირიულ-ქართული); რამდენიმე ფურცელზე სრულიად არ არის ქართული ტექსტი, ან არის რამდენიმე სიტყვა ან რვეულგბრივი აღრიცხვის აღმნიშვნელი ასოები (Gr. VI, 6, 11; Сир. H. C. 16/1, 1r-v, 2r-v, 3r-v, 54v, 55r-v, 58v, 59r-v; 16/2, 54r-v). ეს ფურცლებიც იმავეთვე ჩართული იყო ქართულ ხელნაწერში; ზოგჯერ ფურ-

ცლები შეწყვილებულია; ზოგიერთ მათგანს აქვს ფერადი ლაქები, რაც შედეგია ქიმიური დამუშავებისა, რითაც უცლიათ ქვედა გადასული ტექსტის გამკლავება; ნაწერია ერთი ხელით, არაკალიგრაფიული მომსხო ნუსხურით; სათაურები, ტექსტის დასაწყისები, ნაწილობრივ ანდერმ-მინაწერებიც მთავრულით, სინგურით; რამდენიმე ადგილას გეომეტრიული ორნამენტით შესრულებული ბოლოსამკაულები (Спр. Н. С. 16/2, IV, 59r, 65v; 16/1, 32v, 54r); ზოგიერთ ფურცელზე შემორჩენილია რვეულბრივი სათვალავის აღმნიშვნელი ასოები. ფრაგმენტების ქართული ტექსტის მიხედვით დალაგების შედეგად აღმოჩნდა, რომ სრულადაა მოღწეული, I, III—X რვეულები, მათში ფურცელთა რაოდენობა სხვადასხვაა: X რვეული — 8-ფურცლიანი, I, III, VIII და IX — 10-ფურცლიანი, VI — 11-ფურცლიანი; IV, V და VII — 12-ფურცლიანი; ნაკლებია II, XI, XII და XVI რვეულები: II რვეული აკლია ბოლო ოთხი ფურცელი; XI წარმოდგენილია ორი ფურცლით, რომლებიც ქართულ ტექსტს არ შეიცავენ, აქვთ მხოლოდ რვეულის დაწყებისა და დამთავრების აღმნიშვნელი ქართული რიცხობრივი აღნიშვნები; XII რვეული ბოლონაკლებია, XVI რვეულიდან შემორჩენილია 5, მათ შორის ბოლო ფურცელი; XIII—XV რვეულები მთლიანად აკლია; გაურკვეველია რვეულთა რაოდენობა XVI რვეულის შემდეგ; უკანასკნელ 12 ფურცელზე რვეულბრივი სათვალავის აღნიშვნა არ დასტურდება, ეს ფურცლები შემდეგ არის დამატებული შემდგენლის მიერვე; Спр. Н. С. 16/1-ისა და 16/2-ის ფრაგმენტები ორჯერ არის პავინირებული ფურცლობრივ: პირველი პავინაციის მიხედვით 16/1-ის ფურცლები დანომრილია 1-დან 59-ის ჩათვლით, ამასთანავე მე-18 ფურცელს მოსდევს 18ა ფურცელი (ამ კოლექციის ფურცელთა ნაწილი აღწერილია Sin. 34-ის დამატებაში: იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, თბ., 1979, გვ. 131—143); 16/2-ის ფრაგმენტები აგრძელებენ პავინაციას 60-დან 129-ის ჩათვლით. 16/1-ის ახალი პავინაცია იძლევა განსხვავებებს, რადგან 18ა ფურცელს ახალი ნომერი აქვს მინიჭებული და ძველი პავინაციის 53-ე ფურცელი დაკარგულია (ცნობა დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში); 16/2-ის ფურცლები იმავე თანმიმდევრობით ახლადაა დანომრილი 1-დან 70-ის ჩათვლით (სხვადასხვა კოლექციებში გაფანტული პალიმფსესტური ფურცლების თანმიმდევრობა აღდგენილი ქართული კრებულის ფარგლებში ნაჩვენებია აღწერილობის ბოლოს, სპეციალურ ცხრილში). ლენინგრადის პალიმფსესტური ფრაგმენტები, რომლებიც წინამდებარე კრებულს შეადგენენ, და სინური კოლექციის ყოფილი ხელნაწერი № 81 (ცაგ) არის აღწერილობით) ერთი ხელნაწერის ნაწილებია (იხ. ქვემოთ, შწ. 8); კრებულის შემდგენელი და გადამწერი: იოვანე-ზოსიმე; გადაწერილია სინაზე; 979 წ. (იხ. ქვემოთ, შწ. 9).

I. „ესე განგებად და განწესებად კანონისაგან წმიდათა საკითხავთაჲ და სახარებათაჲ წელიწადისა დღესასწაულთაჲ, რომელ ამას წიგნსა შინა წერილ არს...“

თსა დეკენბერსა კვ-სა, დავითისი და იაკობისი. საკითხავი იაკობისი კათოლიკე ა. იაკობ, ღმრთისაჲ და უფლისა იესუ... ვიდრე — ქუმარიტებისაჲთა, საყუარენო...“ 2r—12v*.

შენიშვნები: 1. წარმოდგენს იერუსალიმურ საღვთისმსახურთა პრაქტიკაში საწელიწადო დღესასწაულებზე დაწესებული სამოციქულოსა და სახარების საკითხავების გამოკრებილ საძიებულს. მარტსა და აპრილს შორის ჩაართავს დიდ მარხვისა და ზატყის შეიდეულებს. შედგენილია სავანგებოდ ამ კრებულისათვის, მასში მოთავსებული ტექსტების გათვალისწინებით. ძირითადად მისდევს იერუსალიმურ ლექციონარს (შდრ. მ. თარხნიშვილის გამოცემას).

* გვერდების მითითება აქ და ქვემოთ ყველგან ჩვენ მიერაა შემოტანილი და შეესაბამება ფრაგმენტების ჩვენ მიერვე აღდგენილ თანმიმდევრობას (იხ. ცხრილი აღწერილობის ბოლოს).

2. ამავე პრაქტიკის ამსახველი ვრცელი საძიებლები მოთავსებულია: სამოციქულოს საკითხავებისა Sin. 58—31—60 ხელნაწერში (იხ. ე. გარიტის კატალოგი, გვ. 193—194), სახარების საკითხავებისა Sin. 30—38 ხელნაწერში (გამოცემულია ე. გარიტის მიერ Un index géorgien des lectures évangéliques selon l'ancien rite de Jérusalem, Le Muséon, t. LXXXV, fasc. 3—4, 1972, p. 337—398).

3. სათაურს მოსდევს შენიშვნა: „სხუამ ყოველი წესი კრებათაგან და კანონთაგან ისწავე და ლოცვასა წმიდასა თქუნესა გვედით“ (2r).

4. საძიებელში უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ თარიღებია მითითებული, დღესასწაულთა დასახელების გარეშე.

5. ზატიკთა დასასრულს არის იოვანე-ზოსიმეს მინაწერი: „ადესრულა ზატიკნი მადლითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისადათა. მხჩრეკალი ლოცვასა გვედით“ (11r).

6. კალენდარულ დღესასწაულთა დასასრულს მიწერილია: „ადესრულენს თთუენი. ლოცვა ყავთ“ (12v).

7. ერთის სხვადასხვა დამატებები და შენიშვნები: ა. ზოგად დღესასწაულთა საკითხავების საძიებელი (ღმრთისმშობლისათვის, ჭუარისათვის, მოციქულთათვის, მღვდელთმძღვართათვის, მართალთათვის). დღესასწაულთა ეს რიგი დანომრილია გასწვრივ აშეიბზე (12v—14r).

ბ. შენიშვნულია: „წმიდათა კურიაკეთა საცისკრონი სახარებანი ყოველთავე მ-თა კმათა ზედა წინათ ჰპოენ მიწყებით“ (14r). ეს საკითხავები ამჟამად დაცულია (სრული ტექსტებით) Sin. 81 (ცავ.) ხელნაწერში. მოიცავს 8 ნაწყვეტს ოთხთვიდან. იხ. ი. ასფალგის მიერ შედგენილი ცავ. 81 ხელნაწერის გამოუქვეყნებელი აღწერილობა, რომლის მანქანაზე გადაბეჭდილი ცალი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში: A Palimpsest Codex from the Monastery of St. Catherine on Mount Sinai Containing Portions of New Testament in Palestinian Syriac (or Syro-Palestinian Christian Aramaic), გვ. 9. იხ. აგრეთვე: ლ. ზეესურიანი, იოანე-ზოსიმეს ერთი ხელნაწერის შესახებ, მრავალთვი, VII, 1980, გვ. 58—59; M. van Esbroeck, Les manuscrits de Jean Zosime Sin. 34 et Tsagareli 81, Revue de Kartvélogie, vol. XXXIX, 1981, p. 72—73.

გ. შენიშვნულია: „და ეგრეთვე წმიდათა კურიაკეთა სასამხრონი სახარებანი ყოველთა კმათა ზედა წინათვე ჰპოენ მიწყებით“ (14r). ეს ნაწილიც ამჟამად დაცულია ცავ. 81-ში სრული ტექსტებით. მოიცავს 8 საკითხავს. იხ. ი. ასფალგის დასახ. აღწერილობა, გვ. 9. აღწერილობის მიხედვით მე-6 და მე-7 საკითხავები ფურცლის კლების გამო ნაკლებია; იხ. აგრეთვე ლ. ზეესურიანი, იოანე-ზოსიმეს ერთი ხელნაწერის შესახებ, გვ. 58—59; M. van Esbroeck, Les manuscrits..., p. 73; მ. ვან ესბროკის მიერ მითითებული საკითხავების რიგი განსხვავდება ი. ასფალგის მიერ აღწერილობისაგან.

დ. „წმიდათა კურიაკეთა საკითხავნი სასამხრონი“ (14r). უნდა იგულისხმებოდეს საკითხავები სამოციქულოდან. ეს მასალა არ იძენება არც ლენინგრადულ ფრაგმენტთა შორის და არც ცავ. 81-ში.

ე. „შემდგომად მარტულიისა საკითხავნი საკვირაონი. პირველი საკითხავი. პავლს პრომავლთაი ა. პავლე მონაი იესუ ქრისტესი... ვიდრე — სარწმუნოებითა ცხონდეს“ (14r-v). მოცემულია მითითებები 9 კვირის საკითხავებზე სამოციქულოდან და სახარებიდან, ნაცვლად 16 კვირისა.

ვ. „შემდგომად ენკენისა ზატიკისა სახარებანი მარკოსისნი. ბ კურიაკესა. სახარებამა მარკოსისი, თავი ე. და გამოვიდა მიერ იესუ შესაკრებელ...“ (15r). მითითებულია მე-2, მე-8 და მე-12 საკითხავები სახარებიდან.

ზ. „დღესა კურიაკესა უწინარეს ქრისტეს შობისა...“ (15r). მითითებულია თითო საკითხავი პავლეს ეპისტოლედან და სახარებიდან.

თ. „განცხადებისა წინა რომელ კურიაკ იყოს...“ (15r). მითითებულია თითო საკითხავი პავლეს ეპისტოლედან და სახარებიდან.

ი. „შემდგომად გაცხადებისა ა კურიაკესა...“ (15v). მითითებულია 1-ლი, მე-2, მე-4, მე-6 და მე-7 კურიაკეთა საკითხავები სამოციქულოდან და სახარებ-
ბიდან.

კ. შენიშნულია: „იოვანეს სახარებანი საკურაონი მე-დ კმასა და მე-შ-სა კმა-
სა — დ გ^ი ჰპონე და ზატკთა კურიაკეთა; მეფეთათეს და სატყურებისათეს და
წმიდათა მთავარანგელოზთათეს წინათ მსგებსსა ჰპოო. და ლიტანიისა და საშა-
ბათონი და კურიაკენი საცისკრონი და სასამზრონი — ესენი ჰპონე წინაჲ; და
საღმრთოსათეს და ქორწილისათეს და მონაზონთა კურთხევისათეს და სქემისა
კურთხევისათეს — ესენი ჰპონე წინაჲ მსგებსსა“. (16r) ამ მითითებათა შე-
სატყვისი საკითხავების ტექსტების დიდი ნაწილი მითავებულია ცაგ. 81-ში.
შღრ. ი. ასფლავის აღწერილობა, გვ. 9—10.

ლ. „საცხენებელსა ეპისკოპოსისასა, გინა მღვდელისასა, გინა მარწესეთასა...“
(16r). მითითებულია საკითხავები პავლეს ეპისტოლეებიდან და სახარებიდან.

მ. „შესუენებულთა საცხენებელსა“ (16r-v). მითითებულია რამდენიმე საკითხა-
ვი პავლეს ეპისტოლეებიდან და სახარებიდან.

ანდერძი: „დაესრულა განგებაჲ და განწესებაჲ წმიდათა საკითხეთაჲ და
სახარებათაჲ წმიდათა მოძღუართა მიერ წელიწადისა დღეთაჲ და დღესასწაულ-
თაჲ წმიდისა კანონისა აგან სინაწმიდისაჲ, რომელი-რამ აძას წიგნასა
შინა წერილ ახს. ამით რიცხუებითა და საკითხავთა და სახარებათა თავ-თავთა
ჩინებითა, რომელისაჲ დღისაჲ და დღესასწაულისა საკითხავი და სახარებაჲ
გინდეს, აღვიღად ჰპოო. და მჩხრეკალი ამისი იოვანე ყოვლად ცოდვილი
ზოსიმე და შობენი და ძმანი ჩემნი, სულიერნი და კორციელნი, და ყო-
ველი ერი და ნათესავი ჩემი, ცოცხალი და გარდაცვალებული, ლოცვასა წმიდა-
სა თქუნესა გვედეთ, და ყოველი დაკლებამა შემინდვეთ ღმრთისათეს და თქუ-
ენცა ქრისტემან შეგინდვენ და შეგიწყალენ, ამენ, ამენ. ლოცვა ყავთ, ამენ“
(16v).

II. [კათოლიკე ეპისტოლენი].

1. „იაკობის კათოლიკე. იაკობ, ღმრთისაჲ და უფლისა იესუ ქრისტეს
მონაჲ, ათორმეტთა ნათესავთა მიმოდატესულთა — გინაროდენ!.. 18r—25v.

შენიშვნები: 1. აშიებზე მითავებულია ტექსტის საკითხავებად დაყოფის
მიმანიშნებელი პაგინაცია ერთიდან ათის ჩათვლით.

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დაესრულა წმიდისა იაკობ მოციქულისაჲ
კათოლიკე. მჩხრეკალი ამისი იოვანე ფრიად ცოდვილი ლოცვასა წმიდასა
თქუნესა გვედეთ და... ჩემი, ამენ. და ყოველი დაკლებამა შემინდვეთ“ (25v).

2. „სამოციქულო პეტრესი ა. პეტრე, მოციქული იესუ ქრისტესი, რჩე-
ულთა მწირთა, განთესულთა პონტოისა და გალატიასათა. კაპადოკიასათა
და ბითუნიათა...“ 26r—34v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დაესრულა წმიდისა პეტრესი მო-
ციქულისა სამოციქულო პირველი. მჩხრეკალი ამის იოვანე ფრიად ცოდვი-
ლი ლოცვასა წმიდასა თქუნესა გვედეთ, ამენ“ (34v).

3. „პეტრესი სამოციქულო მეორე. სუმეონ-პეტრე, მონაჲ და მოციქული
იესუ ქრისტესი, რომელთა-ევე სწორი პატივი ხუდერებულ არს თქუნდა...“
34v—40r.

შენიშვნები: 1. ორივე ეპისტოლეს აშიებზე მოცემულია ტექსტის საკითხა-
ვებად დაყოფის აღმნიშნელი პაგინაცია გაბმით ერთიდან ოცდამეოთხის ჩათვლით.

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დაესრულა წმიდისა პეტრესი მოციქულო-
სა სამოციქულო მეორე. მჩხრეკალი ამისი იოვანე ფრიად ცოდვილი და
ყოველი ერი ჩემი ლოცვასა წმიდასა თქუნესა გვედეთ, და რომელი-რამ და-
მიკლია, შემინდვეთ და თქუნცა ქრისტემან შეგიწყალენ, ამენ“ (40r).

4. „იოვანესი სამოციქულო ა. რომელი იყო პირველითგან, რომელი
გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა... 40v—48v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დაესრულა წმიდისა იოვანესის მოციქულისაჲ სამოციქულოჲ პირველი. მხრეკალი ამისი იოვანე ფრიად ცოდვილი ლოცვასა თქვენსა გვედით, ამენ“ (48v).

5. „იოვანესის წიგნი მეორეჲ. მოხუცებული რჩეულსა დედუფალსა და შეილთა მისთა, რომელნი მე მიყუარან ჭეშმარიტებით...“ 48v—49v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დაესრულა წმიდისა იოვანესის წიგნი მეორეჲ. მხრეკალი ამისი იოვანე ფრიად ცოდვილი ლოცვასა წმიდასა თქვენსა გვედით“ (49v).

6. „იოვანესის წიგნი მესამეჲ. მე მოხუცებული გაიოსს საყუარელსა, რომელი მიყუარს ჭეშმარიტებით...“ 49v—51r.

შენიშვნები: 1. იოვანესს სამივე ეპისტოლეს მანძილზე აშიებზე მოცემულია ტექსტის საკითხავებად დაყოფის აღმნიშვნელი პაგინაცია ერთიდან თექვსმეტის ჩათვლით.

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დაესრულა წმიდისა იოვანესა წიგნი მესამეჲ. მხრეკალი ამისი იოვანე ფრიად ცოდვილი ლოცვასა წმიდასა თქვენსა გვედით და ყოველნი თსნი ჩემნი, ამენ“ (51r).

7. „იუდასის წიგნი. იუდა, იესუ ქრისტესი მონაჲ, ძმად იაკობისი, თქუენ, ღმრთისა მიერ მამისა შეყუარებულთა და ქრისტე იესუსს მიერ დამარხულთა...“ 51r—53v.

შენიშვნები: 1. აშიებზე მოცემულია ტექსტის საკითხავებად დაყოფის აღმნიშვნელი პაგინაცია, რომელიც ტექსტს ორ საკითხავად ყოფს.

2. ბოლოს ერთვის ანდერძი: „დაესრულა წმიდისა იუდასის წიგნი. მხრეკალი ამისი იოვანე ფრიად ცოდვილი ლოცვასა წმიდასა თქვენსა გვედით.“

დაესრულეს წმიდათა მოციქულთა კათოლიკენი, საკითხავნი წმიდისა იაკობისნი ი, წმიდისა პეტრესნი კლ, წმიდისა იოვანესნი ივ, წმიდისა იუდასისნი ზ. მხრეკალი ამათი იოვანე ფრიად ცოდვილი და მშობელნი და ძმანი ჩემნი, სულიერნი და კორციელნი, და ყოველი ერი და ნათესავი ჩემი, ცოცხალი და გარდაცვალებული, ლოცვასა წმიდასა თქვენსა გვედით, რამეთუ ჩუენ გურწამს თქუენი ლოცვაჲ, და ყოველი დაკლებად შემინდეთ და თქუენცა ქრისტემან შევიდეთ“ (53v).

3. კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტი ლენინგრადის ფრაგმენტებში სრული სახითაა დატული. რედაქციულად დგება Sin. 39 და ნაკლებ Sin. 31 ნუსხებთან და ტექსტობრივ უმნიშვნელოდ სხვაობს მათგან. სინური კოლექციის ამ ნუსხების ტექსტი სამეცნიერო ლიტერატურაში A რედაქციად არის მიჩნეული და გამოქვეყნებულია (იხ. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, ა. შანიძის რედ., თბ., 1956, გვ. 07—08, 011—037).

4. Sin. 39 ხელნაწერში არსებული ტექსტის საკითხავებად დაყოფა ლენინგრადული ტექსტის დაყოფას ემთხვევა, მხოლოდ დანობრილია არა ცალკეული ეპისტოლეს ფარგლებში, არამედ ერთიანად, თავიდან ბოლომდე.

III. 1. პავლეს მოციქულისა წიგნი ჰრომელთა მიმართ. პავლე, მონაჲ იესუ ქრისტესი, ჩინებული მოციქული, რჩეული სახარებასა მას ღმრთისასა... 54r—90r.

შენიშვნები: 1 აშიებზე მოცემულია ტექსტის საკითხავებად დაყოფის აღმნიშვნელი პაგინაცია. ამის მიხედვით ეპისტოლედ რომელთა მიმართ 51 საკითხავად იყოფა.

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „პავლეს მოციქულისაჲ ეპისტოლეს ჰრომელთა მიმართ მიწერა კორინთელ ფეშსთეს, დედათ დიაკონისა, რომელი იყო კენჭრელთა ეკლესიისაჲ. თავი, საკითხავი, მუხლი (აქ რიცხვებისათვის ადგილებად დატოვებული). დაესრულა ა თავი წმიდისა პავლესი ჰრომელთა მიმართ. საკითხავი მა. მხრეკალი ამისი იოვანე ფრიად ცოდვილი და მშობელნი და ძმანი ჩემნი, სულიერნი და კორციელნი, და ყოველი ერი და ნათესავი ჩემი,

ცოცხალი და გარდაცვალებული, ლოცვასა წმიდასა თქუნესა გვედით. და ყოველი დაკლებამა შემინდვეთ. ქრისტე, შეიწყალე გ ა ბ რ ი ე ლ, გ ი ო რ გ ი, გ ო ვ ა ნ ე და ყოველი ქრისტეანენი, ამენ“ (90r).

3. 89v-ს აშიაზე 41-ე საკითხავის გასწვრივ („ხოლო რომელი-იგი შემძლებელ არს...“ ტრადიციული დაყოფით 16, 24—26) არის ი ო ვ ა ნ ე - ზ ო ს ი მ ე ს მინაწერი: „ლდ შინა ნახე, ესევე არს. მე ვითა ღედასა ეწერა, ეგრე დამიწერია, შემინდვეთ. ლოცვა ყავთ, ამენ“. ი ო ვ ა ნ ე - ზ ო ს ი მ ე მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ ეპისტოლეს 41-ე საკითხავი (16, 24—26) იმერებზე ტექსტის მონაკვეთს 34-ე საკითხავიდან (14, 24—26). რომელთა მიმართ ეპისტოლეს ამ თავისებურების შესახებ იხ. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გვ. 73, 85.

2. „პავლეს მოციქულისა წიგნი თესალონიკელთა მიმართ. პირველი საკითხავი. პავლე და სილოვანე და ტიმოთე ეკლესიათა თესალონიკელთასა ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა: მადლი თქუნდა, მშუდობამა. ვჰმადლობთ ღმერთსა მარადის...“ 91r—97v.

შენიშვნები: 1. წარმოადგენს თესალონიკელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს სრულ ტექსტს.

2. აშეიბზე მოცემულია ტექსტის საკითხავებად დაყოფის აღმნიშვნელი ორმაგი პაგინაცია. ერთი აგრძელებს რომაელთა მიმართ ეპისტოლეს დაყოფას (მზ—ნა), მეორე უჩვენებს დაყოფას ამ ეპისტოლეს ფარგლებში ერთიდან ათის ჩათვლით.

3. ბოლოში მიწერილია: „თესალონიკელთა პირველი მიიწერა ათენათ. დაესრულა მე-მ ეპისტოლმ პავლესი, ლოცვა ყავთ მჩხრეკალისათჳს“ (97v).

3. „პავლე მოციქულისა წიგნი თესალონიკელთა მიმართ. მე-ბ საკითხავი. პავლე და სილოვანე და ტიმოთე ეკლესიათა თესალონიკელთასა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესსა; მადლი თქუნდა და მშუდობამა ღმრთისა მიერ მამისა...“ 97v—101v.

შენიშვნები: 1. წარმოადგენს თესალონიკელთა მიმართ მეორე ეპისტოლეს სრულ ტექსტს.

2. აშეიბზე მოცემულია ტექსტის საკითხავებად დაყოფის აღმნიშვნელი პაგინაცია, რომელიც აგრძელებს რომაელთა მიმართ ეპისტოლესა და თესალონიკელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს დაყოფის ერთიან ნუმერაციას (მზ—ნა), ამავე დროს აქვს მეორე პაგინაცია ეპისტოლეს ფარგლებში ერთიდან ექვსის ჩათვლით.

3. დასასრულს მიწერილია: „თესალონიკელთა მიმართ მეორე ეპისტოლმ მიიწერა ათენათ. დაესრულა მე-თ ეპისტოლმ პავლესი. მჩხრეკალი ამისი ი ო ვ ა ნ ე ფრიად ცოდვილი და ყოველი ნათესავნი ჩემნი ლოცვასა წმიდასა თქუნესა გვედით და ყოველი დაკლებულებამა შემინდვეთ“ (101v).

4. დასახლებული ეპისტოლეები ლენინგრადის ფარაგმენტებზეა სრულადაა დაცული.

5. ტექსტი დგება სამეცნიერო ლიტერატურაში პავლეს ეპისტოლეთა B რედაქციად მიჩნეულ ხელნაწერებთან (შდრ. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ, ა. შანიძის რედ. თბ., 1974, გვ. 013—015, 3—85, 316—342).

6. ტექსტის დაყოფის თვალსაზრისით მსგავსია Sin 58/31 (B რედაქციით) ხელნაწერისა. მათში იერუსალიმის საღვთისმსახურო პრაქტიკაში პავლეს ეპისტოლეთა საკითხავებად დაყოფის ტრადიციაა დაცული.

IV. „ღიდსა გ-შაბათსა სახარებად მათეს თავისად ქანქარი. სხბ. და გამოვიდა იესუ ტაძრისა მისგან და წარვიდოდა და მოუკლეს მას მოწაფენი მისნი...“ 104r—111r.

შენიშვნები: 1. მოიცავს ნაწყვეტს მათეს სახარებიდან XXIV, 1—XXVI, 2, რომელიც „ქანქარად“ იწოდება.

2. რიცხვი **სწ** სახარების მონაკვეთებელ ევგებისეულ დაყოფას მიანიშნებს.
3. ტექსტის ბოლოს მიწაწერი: „ლოცვა ყავთ“.
4. იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკის მიხედვით დაწესებულია საკითხავად ვნების სამშაბათს მწუხრზე (შდრ. მ. თარხნიშვილი, ლექციონარი, I, № 615; აგრეთვე G. Garitte, Un index géorgien., p. 354).

V. „დიდსა ე-შაბათსა ფერკთა ბანასა სახარებად იოვანეს თავისად რიბ შინა. და უწინარმს დღესასწაულსა მას პასექისასა, რომელ არს ვნებისაჲ, იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი...“ 111v.

შენიშვნები: 1. შეიცავს იოვანეს სახარების „ანდერძად“ წოდებული ნაწილის (XIII, 1—XVIII, 2) ფრაგმენტს (XIII, 1—5).

2. ტექსტის დანარჩენი ნაწილი დაცულია ცავ. 81-ში. იხ. ი. ასფალგის აღწერილობა, გვ. 8—9.

3. იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკაში ფეხთა დაბანის საკითხავად „ანდერძის“ ტექსტის გამოყენების შესახებ იხ. მ. თარხნიშვილი, ლექციონარი, I, № 640; G. Garitte, Un index géorgien..., p. 355.

4. სათაურში მითითებული რიცხვი რიბ სახარების მონაკვეთებელ ევგებისეულ დაყოფას მიანიშნებს.

VI. [წმიდისა მამისა პიმენის სწავლანი]: „...ნუ უკუე იდილოს-მეა ცული თვნიერ მკუეთელისა? და შენცა ნუ მისცემ მათ ჭელსა და უქმ იქმნენ ივინი...“ წყდება: „...და ნებისა თვისსა არა დამტკიცება ზღუდე არიან მონაზონისა...“

გრძელდება: „...მიუგო ბერმან და პრქუა მას: სარწმუნოებად არს სიმდაბლით სლვაჲ...“ წყდება: „...შემძლებელ არსა კაცი ვითარმცა შეიკრიბნა ყოველნი გუ...“ 112r—116v.

შენიშვნები: 1. პატერიკული ტექსტი, წარმოდგენილია ფრაგმენტულად. იწყება თავნაკული მე-12 თხრობით, წყდება 28-ე თხრობაზე, რომელიც ბოლონაკულია; შემდეგ კვლავ გრძელდება თავნაკული 61-ე თხრობიდან ბოლონაკულ 67-ე თხრობამდე (შდრ. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტ. II, ანბანურ-ანონომური პატერიკები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. დვალმა, თბ., 1974, გვ. 164—168, 176—177).

2. სათაური აღდგენილია ამავე ხელნაწერის ზანდუკის მიხედვით (იხ. აღწერილობის ბოლოს).

3. ზანდუკივე მითითებულია პიმენის თხრობათა საერთო რიცხვი — „რე თავი სრულიად“, რაც ნიშნავს, რომ სრული ტექსტი შეიცავდა 165 თხრობას. თხრობათა რიცხვზე მითითება შემოინახა აგრეთვე ლენინგრადულ ფრაგმენტებში Gr. VI, 11 ფურცელმა. აქ არის მიწაწერი: „წმიდისა პიმენისი რე თავი“.

4. პიმენის სწავლათა ამ ტექსტის ნაწილი დაცულია ცავ. 81 ხელნაწერში. იხ. ი. ასფალგის აღწერილობა, გვ. 10—12. ზუსტი ცნობები მისი შედგენილობის შესახებ არ მოგვეპოვება.

5. პიმენის სწავლათა ლენინგრადული ნუსხა უფრო დგება Sin. 35 ხელნაწერის ტექსტთან (ვარიანტული განსხვავებებით), რომელიც გამოცემაში B ნუსხად იწოდება.

6. პიმენის სწავლათა ბერძნული გამოცემა იხ. P. G., t. 65; col. 318—368.

VII. „თქუმული წმიდისა აბრაჰამ მონაზონისაჲ. არა ჯერ არს ჩუენდა, მონაზონთა, რადთამცა მივსცენით თავნი თვისნი ნებასა კორცთა ჩუენთასა...“ თავდება: „რამეთუ მის შუენის დიდებად და პატივი მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ“ 118r—120v.

შენიშვნები: 1. სათაურთან იოვანე-ხოციმეს ხელით მიწერილია: „ლოცვა ყავთ“, ბოლოში „ლოცვა ყავთ, ამენ“.

2. ზანდუკის მიხედვით თხზულებას ეწოდება: „სწავლამ წმიდისა მარხვისათჳს“ (იხ. აღწერილობის ბოლოს).

3. დაცულია სინური კოლექციის კიდევ ორ ხელნაწერში Sin. 35, 124rb—125va და Sin. 36, 230va—232rb და სხვა კოლექციების ხელნაწერებში (იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 1957, გვ. 8; G. Garitte, Catalogue..., გვ. 113, 140).

4. ტექსტი S 1139 და H 1662 ხელნაწერების მიხედვით გამოცემულია ი. აბულაძის მიერ (იხ. მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, თბ., 1955, გვ. 304—306).

VIII. „სწავლაა წმიდასა სტეფანსი მძოვრისაჲ საბაწმიდელისაჲ, რომელი ზღუასა ზედა ვიდოდა. იგულე სული შენი, შვილო ჩემო, და ნუ უღებ ხარ ცხოვრებისათჳს მისისა...“ თავდება: „და ესე წარმოგვთხრა თევდოლოს, არამედ მოვიქცე, სადა-იგი ვიყვენით, და განვასრულოთ, რომელსა-იგი გუეუწყყო...“ 120v—127r.

შენიშვნები: 1. სათაურთან იოვანე-ზოსიმეს ხელით მიწერილია: „ლოცვა ყავთ“.

2. ზანდუკის მიხედვით თხზულებას ეწოდება „სწავლაა ლოცვისა და ღამის თევისათჳს“ (იხ. აღწერილობის ბოლოს); ცაგ. 81-ის ანდერძში კი ეწოდება: „წმ. სტეფანე მძოვრისა სწავლანი და კანონისაგან განყენებანი“ (იხ. A. A. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, Правосл. Палест. сборник, т. 4, вып. I, СПб, 1988, с. 233).

3. დაცულია სინური კოლექციის კიდევ ერთ ხელნაწერში: Sin. 6, 220r—223r (იხ. G. Garitte, Catalogue..., p. 20; ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 111).

4. ტექსტი Sin. 6 ხელნაწერის მიხედვით გამოცემულია: G. Garitte, Un extrait géorgien de la Vie d'Étienne le Sabaïte, Le Muséon, vol. 67, fasc. I—2, 1954, p. 71—92.

5. „სწავლაა“ წარმოადგენს ნაწყვეტს სტეფანე მძოვრის საბაწმიდელის ცხოვრებიდან, რომელიც მისი მოწაფის ლეონტის მიერ არის აღწერილი, მოიცავს ამ თხზულების 159—165 თავებს (G. Garitte, Un extrait géorgien..., p. 73). სტეფანე საბაწმიდელის ცხოვრების სრული ტექსტი ქართულად ცნობილი არ არის.

IX. „და კუალად სხუაჲ ჰამბავი ღამისთევისათჳსვე და ლოცვისათჳსვე. თქუა მამამან ჩუენმან თევდორე: ვითარმედ მითხრა მე ბერისა ერთისა დიდისათჳს, რომელსა აქუნდა მადლი წინაჲსწარ ცნობისაჲ...“ თავდება: „...სა-ცხოვრებელად და კურთხევისა ღირს-ყოფად ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, ამენ“ 127r—129r.

შენიშვნები: 1. ტექსტის დასასრულს იოვანე-ზოსიმეს ხელით მიწერილია: „ლოცვა ყავთ, ამენ“.

2. შეტანილია კიდევ Sin. 6 ხელნაწერში (224r—225r).

3. უკანასკნელი სამი თხზულება ხელნაწერზე მოგვიანებით ჩანს დამატებულად იოანე-ზოსიმეს მიერვე (იხ. ლ. ზევსურიანი, იოანე-ზოსიმეს ერთი ხელნაწერის შესახებ, გვ. 52, 62).

X. უძღვის ზანდუკი: „სწერია წმიდასა ამას წიგნსა შინა თავები ესე ი: ა. განგებაჲ კანონისაჲ. ბ. წმიდათა მოციქულთა კათოლიკენი სრულიად და პავლმ სამი თავი სრულიად. გ. და პავლმ ყოველთა სამოციქულოთა თავთავები სრულიად. დ. და საქმმ წმიდათა მოციქულთა თავთავები სრულიად. ე. ეგრევე წმიდათა კათოლიკეთა თავთავები სრულიად. ვ. წმიდაჲ სახარებაჲ, ქანქარი და ანდერძი. ზ. და წმიდათა კურიაკეთა საცისკრონი და სასამხრონი სახარებანი რვათავე კმათა ზედა სრულიად. მ. და მსგებსობაჲ სრულიად. თ. და წმიდისა მამისა პიმენის სწავლანი... რაჲე თავი სრულიად. ი. და წმიდისა მამის არსენის ეპისტოლენი სრულიად. და ლოცვასა წმიდასა გვედით ცოდვილი ესე.“

და წმიდისა აბრაჰამ მონაზონის სწავლად წმიდისა მარხვისათჳს, და წმიდისა სტეფანესი მძოვრისაჲ საბაწმიდელისაჲ სწავლად ლოცვისა და ღამისთევათათჳს, და წმიდისა თედორე მონაზონისაჲ ლოცვისათჳს“ 1r-v.

შენიშვნები: 1. ზანდუკის უკანასკნელი სამი თავი, რომელთაც არ აქვთ ნუმერაცია, მოგვიანებით არის დამატებული იოვანე-ზოსიმეს ხელითვე.

2. გამოქვეყნებულია ზანდუკის სრული ტექსტი (იხ. ლ. ხევსურიანი, იოანე-ზოსიმეს ერთი ხელნაწერის შესახებ, გვ. 52) და მისი ორი ფრანგულ თარგმანი (იხ. M. Brosset. Notice sur un manuscrit géorgien de la Bibliothèque Impériale publique provenant de M. Tischendorf, *Mélanges asiatiques*, St. Petersburg, 1958, t. III, p. 264—265; M. van Esbroeck, *Les manuscrits de Jean Zosime Sin. 34 et Tsagareli 81*, p. 70).

3. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის პალიმფესტური ფრაგმენტები, რომელთა ზედა ტექსტი ქართულია, მომდინარეობენ სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციიდან. ეს ფურცლები წამოღებულია კ. ტიშენდორფის მიერ 1853 და 1859 წლებში. (A. F. C. Tischendorf, *Anecdota sacra et profana ex Oriente et Occidente allata siva Notitia codicum graecorum, arabicorum, syriacorum, copticorum, hebraicorum, aethiopicorum, latinorum*, Leipzig, 1855, p. 1—16; A. F. C. Tischendorf, *Notitia editionis codicis Bibliorum Sinaitici... Accedit catalogus codicum nuper ex Oriente Petropolin perlatorum*, Leipzig, 1860, p. 49). ფურცელთა საერთო რიცხვი შეადგენს 182-ს (ქართულის მიხედვით 185-ს, რადგან 3 ვაშლილი ფურცელი — Gr. VI 1, 2, 3 ქართული ხელნაწერის 6 ფურცელია), მათგან ქვედა ტექსტის მიხედვით 46 (ქართული 49) ბერძნულენოვანია, 136 — სირიულენოვანი. ამ კოლექციების 48 (ქართულის მიხედვით 51) ფურცელი წარმოადგენს Sin. 34 ხელნაწერის კუთვნილებას (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, 1978, გვ. 131—143), დანარჩენი 133 ფურცელი შეადგენს წინამდებარე კრებულს. ვერ დაეძებნა ადგილი ერთადერთ დაუწერელ ფურცელს (Греч. XVI, 2), რომლის ორივე მხარეს გამოსახულია ჯვრები.

4. ფრაგმენტების ნაწილი ქართული ტექსტის თვალსაზრისით აღწერილია მ. ბროსეს მიერ: M. Brosset, Notice sur un manuscrit géorgien de la Bibliothèque Imperiale publique provenant de M. Tischendorf. *Mélanges asiatiques* St. Petersburg, 1858, t. III, p. 264—280. ამ აღწერილობაში ასახული არ არიან Сир. Н. С. 16/2-ის 70 ფურცელი და Сир. Н. С. 16/3-ის 7 ფურცელი, იმის გა, მო, რომ ისინი 1859 წელს წამოიღეს სინის მთიდან.

5. სირიული ტექსტის თვალსაზრისით ფრაგმენტები აღწერილია და გამოცემული: J. P. N. Land, *Anecdota syriaca*, t. IV, Lugduni Batavorum, 1875 p. 114—225; ფრაგმენტები აღწერილია ნ. პიგულევსკაის მიერაც: Н. В. Пигулевская, *Каталог сирийских рукописей Ленинграда, Палестинский сборник*, вып. 6(69), М.—Л., 1960, გვ. 55. აღწერილობაში, არ არის ასახული Сир. Н. С. 16/3, რომელიც 7 ფურცელს შეიცავს.

6. ბერძნული ტექსტის თვალსაზრისით ფრაგმენტები აღწერილია: Е. Э. Гранстрем, *Каталог греческих рукописей ленинградских хранилищ. I. Рукописи IV—IX веков. Византийский временник*, т. XVI, 1959, с. 216—243 (№№ 7, 10, 12—15, 21, 22, 35, 36, 40, 43, 62).

7. ლენინგრადის პალიმფესტური ფრაგმენტების შესახებ, რომლებიც წინამდებარე კრებულს შეადგენენ, იხ.: 1. ლ. ხევსურიანი, იოანე-ზოსიმეს ერთი ხელნაწერის შესახებ, მრავალთავი, VII, 1980, გვ. 50—63. M. van Esbroeck,

Les manuscrits de Jean Zosime Sin. 34 et Tsagareli 81, Revue de Kartvé-
 logie, vol. XXXIX, 1981 p. 63—75.

8. მ. ვ ა ნ ე ს ბ რ ო კ ს ეკუთვნის ლენინგრადის კოლექციის აქ წარმოდ-
 გენილი ფურცლების იდენტიფიკაცია სინური კოლექციის ყოფილ ხელნაწერთან,
 ცაგ. 81-თან, რომელიც ამჟამად ინახება აშშ-ში, კერძო მფლობელობაში (დასახ.
 შრომა, გვ. 70—71).

9. ლენინგრადის პალიმფესტური ფურცლების დათარიღება ემყარება ცაგ.
 81 ხელნაწერის ანდერძს, იხ. ცაგარლის აღწერილობა, გვ. 233; ი. ასფალგის
 აღწერილობა, გვ. 12.

10. სირიულ და ბერძნულ კოლექციებში გაფანტული პალიმფესტური ფურცლები ქარ-
 თული ტექსტის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით ლაგდება (მრგვალ კავებში მითითე-
 ბულია ძველი პაგინაცია):

1 = სირ. H. C. 16/I, 51(50)რ—v	34 = „ 38(97)რ—v
2 = „ 53(52)რ—v	35 = „ 39(98)რ—v
3 = Греч. XIV, 3v—r	36 = „ 40(99)რ—v
4 = სირ. H. C. 16/I, 46(45)რ—v	37 = „ 41(100)რ—v
5 = „ 36(35)რ—v	38 = „ 42(101)რ—v
6 = Греч. XXIV, 2v—r	39 = „ 63(122)რ—v
7 = „ 1r—v	40 = „ 65(124)v—r
8 = „ XIX, 2r—v	41 = „ 64(123)რ—v
9 = „ VI, 9r—v	42 = „ 61(120)რ—v
